ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2558933

ნომერი: AR1387491

თარიღი : 17.03.2016

გაცემის თარიღი : 22.04.2016

გაცნობის თარიღი : 22.04.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თაბუკაშვილი (ყოფ.ძნელაძე), N 33 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზაალ იაკობიძე პ/ნ 01024010547
- თბილისი ტ.ტაბიძის ქ. N 76

ორგანიზაცია:
- შპს ოაზისი 9 კოდი: 211322736

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1981564
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 1.07.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ

თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურში კვლავ იქნა განხილული თქვენი განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, თაბუკაშვილის ქ. N33–ში შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციისაგან განსხვავებით ნაწარმოები მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას.

გაცნობებთ, რომ მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 15.02.2016 წლის Nბ–125031/12 ბრძანების თანახმად, შეთანხმებული პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი არ არის დასრულებული.

თქვენი განმარტების შესაბამისად, "ზედამხედველობის სამსახურის მოსვლის მომენტში დარჩენილი იყო ეზოს და პირველი სართულის დეკორატიული ელემენტების და კეთილმოწყობის სამუშაოები, რაც გახდა ძირითადი შენიშვნების მიზეზი და უარი გვეთქვა ექსპლუატაციაში მიღებაზე. ამჟამად ეს სამუშაოები დასრულებულია, რაც კარგად ჩანს წარმოდგენილ ფოტომასალაში."

გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 62–ე მუხლის თანახმად, სამსახური უფლებამოსილია იმსჯელოს განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობისა და მის დასაშვებობის დადასტურებაზე იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და დამკვეთს უარი ეთქვა ექსპლუატაციაში მიღებაზე, უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენის შემდეგ.

თქვენი განმარტებიდან ირკვევა, რომ 15.02.2016 წლის Nბ–125031/12 ბრძანების გაცემის შემდგომ განხორციელებული იყო გარკვეული სამშენებლო სამუშაოები.

განგიმარტავთ, რომ, სამსახური უფლებამოსილია იმსჯელოს საკითხზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ განხორციელებულ სამუშაოებზე, რაც მოიცავს 15.02.2016 წლის Nბ–125031/12 ბრძანების გაცემის შემდგომ განხორციელებულ სამუშაოებსაც, ამ ეტაპისთვის დასრულებულ სამუშაოებზე უარის თქმის შესახებ ბრძანების წარმოდგენის შემდგომ.

სამსახური დაუბრუნდება საკითხის განხილვას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის შესაბამისი აქტის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.